საქართველოს კანონი *პროექტი*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 10.01.2005, მუხ. 4) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) ,,3. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით. სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი 3 ან 4 წლის ვადით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით“.

ბ) ,,4. ასისტენტის თანამდებობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი 3 ან 4 წლის ვადით. სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ასისტენტის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირი 2 ან 3 წლის ვადით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით“.

მუხლი 2.

ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კონტროლის განმახორციელებელმა სახელმწიფო ორგანომ უზრუნველყოს დაწესებულების წესდების ამ კანონთან შესაბამისობა.

მუხლი 3.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**